კვლავ უინიციატივოდ…

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 6 ნოემბერი.

“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ტორპედო”: ზარაპინი, ხუდიევი პრიგოდა, ბუტურლაკინი, მირონოვი, სუჩილინი, ფილატოვი, გრიშინი (ბელოუსოვი), სახაროვი, იურინი, ხრაბროსტინი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე (წერეთელი), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, დარასელია, დვალიშვილი (ჩელებაძე).

მსაჯი: ა. სმირნოვი (ლენინგრადი).

ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. ტორპედოელებს მისი მოგების შემთხვევაში 20 ქულა უგროვდებოდათ, რაც მაქსიმალური შესაძლო ციფრია მათი უშუალო კონკურენტის – ლვოვის “კარპატისთვის”. მაგრამ არანაკლებ დაინტერესებული იყვნენ გამარჯვებაში თბილისელებიც, ვინაიდან წაგების შემთხვევაში ისინი ძალზე იუარესებდნენ საპრიზო ადგილზე გასვლის შესაძლებლობას.

ამ ვითარებაში ტორპედოელებმა გამარჯვებისადმი მეტი სწრაფვა, მეტი მობილიზება გამოიჩინეს. მათ შეძლეს ხელში აეღოთ ინიციატივა, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან, რომელთაგან ერთ–ერთი მე–16 წუთზე ზუსტი დარტყმით დაამთავრა ხრაბროსტინმა. ბურთი მოხვდა ძელს და ბადეში აღმოჩნდა.

მასპინძელთა უპირატესობა ერთხანს კიდევ გაგრძელდა, შემდგომში კი დინამოელებმა გაათანაბრეს თამაში, საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა შეექმნათ ქორიძეს, გუცაევს.

ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა მატჩი შესვენების შემდეგ. მოსკოველებს რამდენიმეჯერ მოუხდათ სტუმრების კონტრშეტევების მოგერიება, კარგი მომენტები ჰქონდათ ხინჩაგაშვილს, დარასელიას, მაგრამ ჩემპიონობისთვის მებრძოლმა “ტორპედომ” შეძლო შეენარჩუნებინა პირველი ტაიმის მონაპოვარი და გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

“ლელო”, 7 ნოემბერი, 1976 წ.